სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030692499205220

29 / დეკემბერი / 2020 წ. **თბილისი #06-255/ო**

ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის (დროებითი) COVID-19 შემთხვევის განსაზღვრების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, თანდართული **ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის (დროებითი) COVID-19 შემთხვევის განსაზღვრება.**
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შემთხვევის განსაზღვრება გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ მხოლოდ ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის, როგორც ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ასევე მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვების სამსახურებისთვის.
3. დაევალოთ, ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვისა და გადამდებ დაავადებათა დეპატამენტებს (ვლ.გეთია; ხ. ზახაშვილი) უზრუნველყონ ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტის გაცნობა შესაბამის სტრუქტურული ერთეულის, მათ შორის მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვების სამსახურებისთვის.
4. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.
5. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეპიდზედამხედველობის მიზნებისთვის, დროებითი, COVID-19 შემთხვევის განსაზღვრების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის #06-186/ო ბრძანება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ამირან გამყრელიძე